

კონკურსები სტუდენტებისათვის

ცხადდება საბუთების მიღება 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში Erasmus+ ის სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად. სტუდენტთა მობილობა განხორციელდება ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდია ფარავს სტუდენტის საცხოვრებელ და სამგზავრო ხარჯებს. მობილობა განხორციელდება 2017-2018 წლის საგაზაფხულო სემესტრზე (5 თვის განმავლობაში).

სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე და მობილობის პერიოდში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს 30 კრედიტის შესაბამისი სასწავლო კურსი.

აუცილებელი მოთხოვნები:

- ✓ სტუდენტი უნდა იყოს საბაუნის სამართლის საბაკალავრო ან სამაგისტრო სწავლების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი;
- ✓ ჰქონდეს კარგი აკადემიური მოსწრება;
- ✓ ფლობდეს ინგლისურ ენას;

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

- ✓ სტუდენტის CV
- ✓ სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე)
- ✓ უცხო ენის (B2 დონე) დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში კანდიდატებს ჩაუტარდებათ ტესტირება-გასაუბრება ადგილზე).

შენიშვნა: არ მიიღება არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

შერჩევა:

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ 10 ნოემბრამდე (ზუსტი თარიღის შესახებ გაცნობებთ კანდიდატებს) ჩატარდება ტესტირება-გასაუბრება, რის საფუძველზეც კონკურსის შედეგებს განიხილავს კომისია. გასაუბრებიდან 5 სამუშაო დღეში მონაწილეებს დაეგზავნებათ კონკურსის შედეგები ელ.ფოსტის მეშვეობით.

შენიშვნა: თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სტუდენტს სოციალურად შეჭირვებული ოჯახიდან.

საბუთების მიღება წარმოებს 31 ოქტომბრის ჩათვლით საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებაში, მესამე სართულზე 308-ე ოთახში. საბუთები ასევე შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ფოსტაზე: sh.parunashvili@sabauni.edu.ge. ამავე მისამართზე შეგიძლიათ მოგვმართოთ კითხვების არსებობის შემთხვევაში.